

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

\*030461638745813\*

KA030461638745813

№ 04-208/ა

23 / აპრილი / 2013 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით განსაზღვრული „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის“ „ბავშვთა რეაბილიტაციის“, „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის“, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“, ქვეპროგრამებით განსაზღვრული მომსახურებების მიმწოდებელთა რეგისტრაციის მიზნით, ამ დადგენილების დანართი N1 –ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი1) „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის“(დანართი1.1), „ბავშვთა რეაბილიტაციის“(დანართი 1.3), „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის“(დანართი1.4), „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“(დანართი 1.6) ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის თანდართული წესი (დანართი 1).

2. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით განსაზღვრულ „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის“, ბავშვთა რეაბილიტაციის“, „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის“, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით დამტკიცდეს:

ა) ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის რეგისტრაციის განაცხადის ფორმა (დანართი 2);

ბ) „ბავშვთა რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 3);

გ) „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 4);

დ) „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 5);

ე) „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის „სავარძელ-ეტლებით (მექანიკური) უზრუნველყოფის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 6);

ვ) „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის „საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 7).


3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 იანვრის #04–67/ო ბრძანება.

4. სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს დანართებთან ერთად, ამ ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

5. დაევალოს მეურვეობა– მზრუნველობის დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსს, ვალერი გაზდელიანს, უზრუნველყოს ამ ბრძანების შესაბამისად მომწოდებლად დასარეგისტრირებელი ორგანიზაციების კონსულტირება საჭიროების შემთხვევაში.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

6. 

ნოე ქინქლაძე

**„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს წესი ადგენს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით განსაზღვრული „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის“, „ბავშვთა რეაბილიტაციის“, „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის“, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამებით (შემდგომში ტექსტში – „ქვეპროგრამა“) განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლის რეგისტრაციის პროცედურებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო;

ბ) სამმართველო – სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველო;

გ) მიმწოდებელი – საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის“, „ბავშვთა რეაბილიტაციის“, „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის“, „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლები.

**მუხლი 2. მიმწოდებელთა რეგისტრაცია**

1. პირის მიმწოდებლად რეგისტრაციის პროცესი მოიცავს ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, გადაწყვეტილების მიღებას მიმწოდებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და პირის ინფორმირებას რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.

2. პირის მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ განცხადებას, თანდართულ ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად იხილავს სამმართველო.

3. სამმართველო, პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების განხილვის შედეგად ამახადებს დასკვნას – პირის მიმწოდებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. დასკვნა მზადდება, მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისობაზე, მოქმედი კანონმდებლობით რეგისტრაციის მსურველი პირებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან/პირობებთან.

4. სამმართველოს მიერ მომზადებული დასკვნა (მოხსენებითი ბარათის სახით)

სამმართველოს კურატორი დირექტორის მოადგილის ხელმოწერით, გადაეცემა სააგენტოს დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პირის მიმწოდებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე (ფორმდება დირექტორის რეზოლუციით). მიღებული გადაწყვეტილება, სამმართველოს მიერ ფორმდება წერილობითი ფორმით და ეგზავნება განცხადების შემომტან პირს.

5. სამმართველო უზრუნველყოფს მიმწოდებლად რეგისტრირებული პირის მიერ ამავე ბრძანებით დამტკიცებული დანართ(ებ)ის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და შენახვას.

### **მუხლი 3.**

1. რეგისტრირებულ მიმწოდებელთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

# განაცხადის ფორმა

გთხოვთ, დაარეგისტროთ

(ორგანიზაციის დასახელება)

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ შემდეგი ქვეპროგრამის (კომპონენტის) მომსახურების (საქონლის) მიმწოდებლად .

## მიმწოდებლის რეკვიზიტები

მითითებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში ოფიციალური ურთიერთობებისათვის

<b>განმცხადებელი ორგანიზაციის სრული დასახელება</b>	<b>საიდენტიფიკაციო კოდი:</b>
	<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>

<b>იურიდიული მისამართი</b>	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	მისამართი:

<b>ფაქტური (მომსახურების მიწოდების) მისამართი</b>	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	მისამართი:

<b>საკონტაქტო ტელეფონები</b>	<b>ელექტრონული ფოსტა</b>

<b>საბანკო რეკვიზიტები</b>	
საბანკო დაწესებულების დასახელება:	
ბანკის კოდი:	ანგარიშის ნომერი:
<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>	

### სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამები (კომპონენტები)

“✓” ნიშნით მიუთითეთ შესაბამის ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციაზე თანხმობა. შესაბამისი პასუხი უნდა მიეთითოს ჩამოთვლილი ქვეპროგრამების (კომპონენტების) გასწვრივ. არასრულად, შეცდომებით ან/და კორექტირებული (გადახაზული) მონაცემებით შევსებული ფორმა არ მიიღება.

1. მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	<input type="checkbox"/> დიახ
2. ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა	<input type="checkbox"/> დიახ
3. ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა	
3.1 ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მუხლი 3, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის მომსახურება	<input type="checkbox"/> დიახ
3.2 ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მუხლი 3, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის მომსახურება	<input type="checkbox"/> დიახ
4. დამზარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	
4.1 სავარძელ-ეტალებით (მექანიკური) უზრუნველყოფის კომპონენტი	<input type="checkbox"/> დიახ
4.2 საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	<input type="checkbox"/> დიახ

წარმოდგენილი განაცხადით ვადასტურებ ჩვენი ორგანიზაციის მიერ მითითებული ქვეპროგრამის (კომპონენტის) ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიწოდების სურვილს და გამოვთქვამთ მზადყოფნას შევასრულოთ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებები.

<b>დაწესებულების პასუხისმგებელი პირი</b>	
სახელი, გვარი:	პირადი ნომერი:
	<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>

ხელმოწერა

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):

დაწესებულების ბეჭედი

### რეგისტრაციის ფორმის შევსების წესი.

1. განაცხადის შევსებამდე ყურადღებით გაეცანით “სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მარეგულირებელ ყველა დოკუმენტს.
2. განაცხადის შევსებისას სავალდებულოა თითოეულ გვერდზე არსებული ყველა ველის შევსება, გარკვევით და სრულად წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ მიიღება.
3. განაცხადში წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია, შემდგომში გამოყენებული იქნება “სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ოფიციალური ურთიერთობებისთვის.
4. განაცხადში წარმოდგენილი საბაკო რეკვიზიტები, შემდგომში გამოყენებული იქნება “სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ანგარიშსწორებისთვის.
5. განაცხადის შესაბამის გრაფაში, სავალდებულოა ყველა ქვეპროგრამის/კომპონენტის გასწვრივ აღნიშნოთ თანხმობის ველი „✓“ ნიშნით.
6. თუ პირი ერთდროულად გამოთქვამს რამდენიმე ქვეპროგრამაში/კომპონენტში მონაწილეობის სურვილს, ავსებს ერთ განაცხადს და შესაბამისად აღნიშნავს თანხმობით ყველა იმ ქვეპროგრამა/კომპონენტს რომელშიც სურს მიმწოდებლად დარეგისტრირება.
7. შეცდომებით ან/და დაკორექტირებული (გადახაზული) მონაცემებით შევსებული განაცხადი არ მიიღება
8. სავალდებულოა განაცხადი დამოწმებული იყოს ბეჭდით და ხელმოწერით.
9. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 510-030

**ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მუხლი 3, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები**

N	ღონისძიებების დასახელება
1	ინდივიდუალური აბილიტაციის და/ან რეაბილიტაციის წლიური გეგმის შედგენა (წელიწადში ერთხელ, მიუხედავად მომსახურების მიმწოდებლის შესაძლო ცვლილებისა) შესაბამის სპეციალისტთა ინტერდისციპლინური გუნდის მიერ, სადაც მითითებული იქნება აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კურსების (მათ შორის, მიმდინარე წელს ჩასატარებელი) რეკომენდებული რაოდენობა, ხანგრძლივობა, ჩატარების ვადები
2	<b>თერაპიული ინტერვენცია</b> , რომელიც მოიცავს ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის, მეტყველებისა და ენის თერაპიის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური კორექციის, ქცევითი თერაპიის, აგრეთვე მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთა განათლებისა და ტრენინგის სეანსებს - „ცერებრული დამბლა“ – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის N278/ო ბრძანების შესაბამისად ( <u>სეანსი</u> )
3	<b>ექიმის მეთვალყურეობა</b> , რაც მოიცავს ბავშვთა ნევროლოგიურ გასინჯვას, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას, ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობის კოორდინაციას ( <u>სეანსი</u> )
4	საჭიროების შემთხვევაში – ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის <b>ფსიქოლოგიური დახმარება</b> ( <u>სეანსი</u> )
5	რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილეობის პარამეტრების შესახებ ბენეფიციარის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის <b>ინფორმირება</b>
<p><b>სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების (ათდღიანი კურსის – ჯამში არანაკლებ 22 სეანსის ჩატარება) დაფინანსებისთვის ერთი ბენეფიციარზე მოთხოვნილი თანხის ლიმიტი</b></p> <p>----- ლარი ----- თეთრი</p>	

დაწესებულების ხელმძღვანელის ვალდებულება, რომ გარემო ადაპტირებულია შშმ პირთა შეუზღუდავი გადაადგილებისთვის და შესაბამისი პერსონალი ლიცენზირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

\_\_\_\_\_ «\_\_\_\_\_» «\_\_\_\_\_» 2013 წ.

(ხელმოწერა)

ბ. ა.

ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მუხლი 3, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები:

N	სარეაბილიტაციო ღონისძიებები	ერთი სენსის ღირებულება
1	შესაბამისი სპეციალისტის კონსულტაცია	
1.1		
1.2		
1.3		
2	სამკურნალო მასაჟი	
2.1		
2.2		
2.3		
3	ფიზიოთერაპიული მანიპულაციები	
3.1		
3.2		
3.3		
4	ფიზიკური თერაპია	
4.1		
4.2		
4.3		
სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისათვის ერთი ბენეფიციარზე მოთხოვნილი თანხის ლიმიტი (თვის განმავლობაში)		

დაწესებულების ხელმძღვანელის ვალდებულება, რომ გარემო ადაპტირებულია შშმ პირთა შეუზღუდავი გადაადგილებისთვის და შესაბამისი პერსონალი ლიცენზირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)  
 ბ. ა.

« \_\_\_\_\_ » « \_\_\_\_\_ » 2013 წ.



მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა

(მომსახურების/ფილიალის) დასახელება და მისამართი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები:

1. 24 საათიანი მომსახურების უზრუნველყოფა:

საქონლის მიწოდების პუნქტების მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი

N	რეგიონი, რაიონი	მისამართი	ტელეფონი
1			
2			
3			
4			
5			

ინფორმაცია ასორტიმენტის და პრეისკურანტის შესახებ

N	კვების პროდუქტი	წონა	მწარმოებელი	ფასი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				

(ხელმოწერა)

ბ. ა.

« \_\_\_\_\_ » « \_\_\_\_\_ » 2013წ.

**ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით  
გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების  
მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა**

დაწესებულების (მომსახურების) დასახელება და მისამართი

ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა დაწესებულების სიმძლავრის  
გათვალისწინებით, ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფების შესაბამისად:

ბენეფიციართა რაოდენობა წინა წლის მონაცემებით -----  
(დეკემბრის მდგომარეობით)

რეალური სიმძლავრე -----  
(ერთდროულად მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა)

**ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები:**

N	სარეაბილიტაციო ღონისძიებები	ერთი სეანსის დირეზულეზა
1	ექიმ- სპეციალისტის კონსულტაცია	
1.1		
1.2		
2	ფიზიოთერაპიული და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევა	
2.1		
2.2		
3	ბალნეოლოგიური პროცედურები	
3.1		
3.2		
4	სამკურნალო ფიზკულტურისა და მანუალური თერაპიის პროცედურები	
4.1		
4.2		
სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისათვის მოთხოვნილი თანხის ლიმიტი (კურსის დირეზულეზა)		

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

« \_\_\_\_\_ » « \_\_\_\_\_ » 2013 წ.

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის „სავარძელ–  
ეტლებით(მექანიკური) უზრუნველყოფის“ კომპონენტით  
გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების  
მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა

დაწესებულების (მომსახურების/ფილიალის) დასახელება და მისამართი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები:

#	სავარძელ–ეტლის სახეობა (ასორტიმენტი)	მწარმოებელი ქვეყანა	საგარანტიო ვადა	ფასი
1				
2				
3				
4				

საქონლის მიწოდების პუნქტების მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი

N	რეგიონი, რაიონი	მისამართი	ტელეფონი
1			
2			
3			
4			
5			

«\_\_\_\_\_» «\_\_\_\_\_» 2013 წ.

(ხელმოწერა)

ბ. ა.

**დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში  
საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის  
მომსახურების (საქონლის) მიმწოდებლად რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი  
ინფორმაციის ფორმა**

დაწესებულების (მომსახურების/ფილიალის) დასახელება და მისამართი  
ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები:

	სახელმწიფო პროგრამით (კომპონენტით) გათვალისწინებული საქონლის (მომსახურების) სახეობა	პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტი	მომსახურების (საქონლის) მიმწოდებლის შიდა სტანდარტით გათვალისწინებული კოდ(ებ)ი	მომსახურების (საქონლის) აღწერილობა (გამოყენებული მასალა, ნაწარმის მორგება და სხვ.)	საგარანტო ვადა (თვე)	მომსახურების (საქონლის) ღირებულება (ლარი)
<b>I. პროთეზირება</b>						
<b>1. ქვედა კიდურის პროთეზირება</b>						
1.1.	პროთეზი ტერფის ნაწილობრივი ამპუტაციისას და კოჭ-წვივის სახსარში ამოსახსვრისას	370				
<b>1.2. მუხლს ქვედა პროთეზი</b>						
1.2.1	მუხლს ქვედა მოდულური პროთეზი ლამინაცური ან თერმოპლასტიური ბუდით, სილიკონ-ლაინარით ან სილიკონ-ლაინერის გარეშე	1280				
1.2.2	მუხლს ქვედა პროთეზი ხის კვანძით-ხის მიმღებით, ტყავის ან ლითონის მიმღებით და ლითონის კარკასით	1070				
<b>1.3. პროთეზი მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრისას</b>						
1.3.1	მოდულური პროთეზი მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრისას ლამინაცური ან თერმოპლასტიური ბუდით	2840				
1.3.2	პროთეზი მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრისას ხის კვანძით-ხის მიმღებით, ტყავის ან ლითონის მიმღებით და ლითონის კარკასით	1100				
<b>1.4. მუხლს ზედა პროთეზი</b>						
1.4.1	მუხლს ზედა პროთეზი მოდულური პროთეზი ლამინაცური ან თერმოპლასტიური ბუდით, სილიკონ-ლაინარით ან სილიკონ-ლაინერის გარეშე	1985				
1.4.2	მუხლს ზედა პროთეზი ხის კვანძით-ხის მიმღებით, ტყავის ან ლითონის მიმღებით და ლითონის კარკასით	1080				

1.4.3	მოდულური პროთეზი მუხლის სახსრის ამოსახსვრისას ლამინაცური ან თერმოპლასტიური ბუდით, სილიკონ-ლაინარით ან სილიკონ-ლაინერის გარეშე	2300				
<b>2. ზედა კიდურის პროთეზირება</b>						
<b>2.1 იდაყვის ზედა პროთეზი</b>						
2.1.1	იდაყვის ზედა მოდულური პროთეზი ლამინაცური ან თერმოპლასტიური ბუდით, სილიკონ-ლაინარით ან სილიკონ-ლაინერის გარეშე	3340				
2.1.2	იდაყვის ზედა (კოსმეტიკური) პროთეზი ტყავის, პოლიამიდის ან ნიტროლაქის მიმღები ბუდით	385				
<b>2.2 იდაყვის ქვედა პროთეზი</b>						
2.2.1	იდაყვის ქვედა პროთეზი მოდულური პროთეზი ლამინაცური ან თერმოპლასტიური ბუდით, სილიკონ-ლაინარით ან სილიკონ-ლაინერის გარეშე	2120				
2.2.2	იდაყვის ქვედა პროთეზი (კოსმეტიკური) პროთეზი ტყავის, პოლიამიდის ან ნიტროლაქის მიმღები ბუდით	210				
2.2.3	ხელის მტევნის (კოსმეტიკური) პროთეზი ტყავის, პოლიამიდის ან ნიტროლაქის მიმღები ბუდით	80				
2.2.4	ხელის მტევნის პროთეზი (კოსმეტიკური) პროთეზი უცხოური წარმოების კვანძით	960				
<b>II. ორთეზირება</b>						
1	ტერფის ორთეზი კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით	110				
2	ორთეზი მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით	600				
3	მუხლის ორთეზი	610				
4	ორთეზი მენჯ-ბარძაყის, მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრების ჩართვით	710				
5	ორთეზი იდაყვის ქვედა	40				
6	ორთეზი იდაყვის სახსრის ჩართვით	130				
7	ორთეზი კისრის დონეზე	100				
8	ორთეზი გულმკერდ-წელის დონეზე	500				
9	ორთეზი წელის დონეზე	410				

**საქონლის მიწოდების პუნქტების მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი**

N	რეგიონი, რაიონი	მისამართი	ტელეფონი
1			
2			
3			

(ხელმოწერა)

ბ. ა.

« \_\_\_\_\_ » « \_\_\_\_\_ » 2013წ.